

F826 7294

ქართული
საბჭოთაო

თავისუფალი საქართველო

მრავალი მაგილის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გახათი

4 X 1991 ფასი 50 კაპ. № 37 (42)

საბჭოთა
ქართული
საბჭოთაო

დამაფიცებელია, ბატონებო თქვენი მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, ვასაოცარი სიბეჭითით არის ჩამოყალიბებული თქვენი, სიმართლეს მოწყობილი, პროგრესული, დემოკრატი ბატონების პრეტენზიები ხელისუფლების მიმართ. მაგრამ მკითხველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მაინც გულითადობით და სინანულით სავსე ტონი ახდენს: „მხოლოდ სიყვარული და მეგობრობა გადაარჩენს საქართველოს, სიყვარულმა უნდა აგვამადლოს შურსა და მტრობაზე, გაგვიერთიანოს საქართველოსთვის — ერთიანი, პარლამენტური, დემოკრატიული და თავისუფალი საქართველოსათვის“.

უცნაურია ადამიანის ბუნება. სიტყვებს ყველა ჩვენგანი სწორად ვხმარობთ; ლამაზად, მივივით ვასხამთ, მაგრამ ჰკვირნი კაცი ყოველთვის ჰგდება ხოლმე, რომელი სიტყვაა მართალი და რომელი ტყუილი, რომელს უნდა ენდოს და რომელს განერიდოს. როგორც ჩანს, მართლ სიტყვაში არ ყოფილა საქმე, მითუმეტეს პოლიტიკაში. სიტყვას მოქმედება უნდა ახლდეს. სიტყვასთან შეუსაბამო მოქმედებას სიცრუე ჰქვია. სიმართლე — პირიქით, მოქმედებასთან შეთანხმებული სიტყვა გახლავთ. ამიტომ, როცა ვილაყის სიტყვებს ისმენს ხოლმე გონიერი ადამიანი, მათ მოქმედების მოქმედებას მიუსადაგებს და უშაღ მიხედება ატყუებენ თუ მართალს ეუბნებიან. სამწუხაროდ, თქვენი მიმართვა, ბატონო დეპუტატებო, არ ახდენს მართალი სიტყვის შთაბეჭდილებასა და ამგვარი შთაბეჭდილების შექმნას თქვენი ბოლოდროინდელი მოქმედება უწყობს ხელს.

ჩვენ ვერ მივმხვდარვართ, რა გინდათ. ზოგჯერ იმასაც ვიფიქრებთ ხოლმე, დემოკრატიის სახელით ახალ კომუნისტს რომ არ გვთავაზობენ-თქო. კომუნისტს, ანუ ისეთ პოლიტიკურ სისტემას, სადაც ხალხის მაგივრად მათი რჩეული, ეგრეთფორდებული მესაქეები წყვეტენ რა ურჩევნია ხალხს და რა არ ურჩევნია, რომელი ლოზუნგი უნდა გაითავისოს და რომელი უარყოს, რა ჩათვალოს სიმართლედ და რა სიცრუედ, ვის გაყვეს და ვის შეაქციოს ზურგი, როგორ იცხოვროს, როგორ იშრომოს. რაზე იოცნებოს.

4. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს თქვენი პოზიციისაგან განსხვავებულ თვალსაზრისს. რომ გვეუბნებით, კრიტიკული თვალთ შეხედეთ მოვლენებსო, ამით ხაზს უსვამთ იმას, რომ აქამდე უკრიტიკოდ, ბრმად ვიღებდით რეალობას. არ გახლავთ ასე, ბატონო დეპუტატებო, კრიტიკული თვალი რომ გვქონდა, იმდროინდელი ამოვიჩიოთ ზვიდ გამსახურდია. იმას კი ნუ გვეტყვი, პატარა არჩევანი გქონდათო, 100-ზე მეტი პარტიაა საქართველოში და ალბათ, ათასამდე ფრაქცია, ასოციაცია და გაერთიანება, თითოზე სამ-სამი ლიდერი მაინც მოდის. დიხა, ყველას გიყურეთ, ყველას გისმინეთ, ყველას დაგაკვირიდით და ამჟამინდელ პრეზიდენტზე შევაჩერეთ არჩევანი. თანაც ეს არჩევანი ერთ წელიწადში რამდენჯერმე დავადსტურეთ — უკანასკნელად ბოლო რამდენიმე დღის წინ, ერთ დამახებაზე ხომ მთელი თბილისი (ვიცი, რომ პოლიტიკურად განსაკუთრებულ პოზიციას ანიჭებთ ამ ქალაქს) და სრულიად საქართველო შევიკრიბეთ მის გარშემო. ჩვენი, თქვენგან გან-

ლებულ სიტყვებს ამოვიღებთ წინადადებიდან, „შეველი სიცრუე შეგვრჩება; თავად განსაჯეთ — ხალხის მოთხოვნით ახადგურებდნენ სიმართლის მთქმელ ადამიანებს სისხლიანი რეპრესიების დროს“. ძნელი დასაჯებელია, რომ რომელიმე თქვენგანს ეს სიბინძურე სიმართლე გონია.

7. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს სიყვარულს და მეგობრობას. ან ჩვენ გვატყუებთ, ან ისეც რალაც გეშლება, თორემ კი უნდა იცოდეთ, რა ტაბილი თოფმომარჯვებულ კაცთან მეგობრობა. ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს. 200 წელიწადი ასე თოფის ქვეშ ვიბეგობრეთ უფროს ძმასთან და რაოდენ საამური იყო ეს მეგობრობა, თქვენ ჩვენზე უკეთ უნდა მოგახსენებოდეთ. რამეთუ ჩვენზე მგრძობიარე ბატონები ბრძანდებით დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის მიმართ.

8. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, პატივს არ სცემთ საზოგადოებაში დაკანონებული ქცევის ელემენტარულ ნორმებს. წესიერ საზოგადოებაში არ არის მიღებული ჭაღისადმი და უფარავი აგრესიის გამოხატვა. როგორც არ უნდა იქცეოდეს ქალი, ის მაინც ქალია და მასთან ბრძოლა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში უკვე მრავალი საუკუნეა ვაჟკაცობად აღარ ითვლება. მაგრამ მგონი, არც ეს გესწავლებათ ჩვენგან დასავლური ცივილიზაციის მცოდნეთ და დამფასებელთ.

9. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, პატივს არ სცემთ ერთ ალიარებულ ზოგად ქვეყნობას, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის განსაკუთრებულ ხიფათს წარმოადგენს არა საკუთრივ პიროვნება, რა საშემადაც არ უნდა გეჩვენებოდეთ ის, არამედ იდეოლოგია. იდეოლოგიაა დამღუპველი და არა პიროვნება. დამეთანხმებით, რომ კომუნისტური იდეოლოგიით უფრო საშიშია ვიდრე ლენინი. ფაშისმი უფრო სახიფათოა, ვიდრე პიტლერი. ამიტომაც გერმანელი ჰუმანისტები მთავარ საფრთხეს საკუთრივ ფაშისმი ხედავდნენ და არა პიტლერში. დოსტოევსკი არ მოსწონებია ლენინს და სტალინს, მაგრამ სოციალისტური მსოფლმხედველობის გათვალისწინებით ვასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა რუსეთის მომავალი (წაიკითხეთ გეგნებათ „კინკები“).

ამიტომ ხელგულურად გვეჩვენება თქვენი შიშები მომავალი ფაშისმისა და ბოლშევიზმის წინაშე. იდეოლოგიურად ამისი საფუძველი საქართველოში არ ჩანს.

10. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს თქვენს სიტყვას. როგორც ხელს გაძლევთ, ისე ათამაშებთ ცნებებს. როცა პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი თანამემამულეებს, ანუ თავის ქვეყნის მოსახლეობას, ანუ თავის ერს მიმართავს, ავადმდებლეთ შურსა და მტრობაზეო, ამას დემაგოგია ჰქვია. ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ თავად პიროვნება და პიროვნებათა ჯგუფი უკვე ამაღლა შურსა და მტრობაზე, ერს კი ეს თვისებები ვერ მოუშორებია, ვერ განუდევნია, ვერ დაუთრგუნია. სად არის ლოგოა? შეუძლია ვინმეს წარმოიდგინოს შურიანი ან მტრული ერი? არა. და პიროვნება, ან პიროვნებათა ჯგუფი?...

სხვათა შორის, არ არის შემთხვევითი, რომ თქვენ, ბატონო დეპუტატებო, მიმართავს აკეთებთ საქართველოს მოსახლეობისადმი და არა ქართველი ერისადმი. სიტყვის არჩევანი პიროვნების უფლებაა. ამაზე ვერავის გამოვედგებით. ჩვენ თქვენთვის მართლაც მოსასლეობა ვართ, ანუ რალაც კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილას შემთხვევით მოსახლე ადამიანები და არა ერი — ის მარადიული საფუძველი ქვეყნისა, არის მისი ზნეობისა, თავისთავადობისა, სულიერობისა, რომელსაც ყველა ცალკეულმა პიროვნებამ უნდა დაუმორჩილოს თავისი ნება. მოსახლეობის, ხალხის წინააღმდეგ წასვლა შეიძლება, — თქვენ ეს კარგად იცით, — ერის წინააღმდეგ წასვლა არც ერთ დროს არ შეიძლება, ამიტომაც აღარ გვეწოდებთ ერს და საქართველოს მოსახლეობად გვენათლავთ.

დამოლოს, კონკრეტულ რალაცებში თქვენ ალბათ, მართლმდებარე, ბატონო დეპუტატებო. მაგრამ, ჩვენის აზრით, არც დრო იყო ახლა საქართველოში თბილისი პარადების მოწყობისა და არც ამ პარადების ფორმა იყო მისაღები. ვთქვათ სიმართლე: თქვენმა სიტყვამ არ გაიქცა. ამიტომაც, რაც დრო გადიოდა თქვენს მიტინგებს ხალხი აკლდებოდა, ჩვენსას კი ემატებოდა. გაიხსენეთ 30 სექტემბერს მშვიდობიანი მანიფესტაცია (ამდენი ხალხი მერაბ კოსტავას დაკრძალვის შემდეგ არ უნახავს თბილისს).

პოლიტიკოსი კი, რომელიც თავისი აქციის ან პროტესტისათვის ვერც შესაფერის დროს არჩევს, ვერც შესაფერის ფონს და ვერც შესაფერის ფორმას, პოლიტიკურად განწირულია. ის პოპულარული არასოდეს იქნება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

მიმართვა ბატონ დეპუტატებს

დაკვირვება გვეუბნება, რომ თქვენ არაგულწრფელები ბრძანდებით, ბატონო დეპუტატებო. რატომ? იმიტომ, რომ იმ ლამაზ, მართალ სიტყვებს დაუდევრად ხმარობთ, მხოლოდ ნახევარსიმართლეს ან სიმართლის მსგავს სიცრუეს ბრძანებთ.

1. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს პარლამენტურ გზას. სიტყვით ერთს ამბობთ და მოქმედებით კი სხვაგვარად ირჩებით. კენჭისყრის შემდეგ თქვენი გაქცევა უზენაესი საბჭოს სხდომიდან ამის დასტურია. გიფიქრიათ, რომ ეს ვერაფერი პარლამენტური საქციელია? ბატონებო, რამდენჯერაც უმცირესობაში მოხვდებით, იმდენჯერ შეიარაღებული ბანდები რომ დაიყვანოთ გვერდით თქვენი პოზიციის დასაცავად, ვერაფერი დახლი დაუდგება თქვენს სინდისსა და გონიერებას მინდობილ ერს.

2. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს დემოკრატიას. რა კონკრეტულ, ორიგინალურ აზრსაც არ უნდა დებდეთ ამ სიტყვაში, დემოკრატია დემოკრატია და ნიშავს თავისუფალი არჩევანის უფლებას. თქვენ მთელი თქვენი საქმიანობით უარყოფთ დემოკრატიას და ამითიარპირნიცხს. ჩვენს დაგვირგვინს წყვეტთ, გვეჭირდება თუ არა სამი თვის წინ ტრიუმიფით არჩეული პრეზიდენტი. მთელ ერს ართმევთ არჩევანის უფლებას იმ შოტივით, რომ თქვენ უკეთ მოგეხსენებათ რა სჭირდება ერს და რა არ სჭირდება.

3. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს ერის მთლიანობას, როცა აცხადებთ, რომ საქართველო ორ ნაწილად არის გაყოფილი. ეს სიცრუეა. თქვენივე სიტყვებით, ბატონებო, ოპოზიციის მიტინგებს ათი ათასობით ადამიანი ესწრება — ყველაზე დიდი ციფრი, რომელსაც ასახელებთ, გახლავთ 50.000 კაცი, პრეზიდენტს მხარს უჭერს მთელი საქართველო.

ახლა გვიბრძანებთ, ბატონო დეპუტატებო, როგორ გესახებათ ერის გაერთიანება? სამი მილიონი ადამიანის ნება უნდა და დემოკრატიის 50.000 ადამიანის ნებას თუ პირიქით? გავრთიანება არ ნიშნავს მაინცდამაინც თქვენი პოზიციის გარშემო გაერთიანებას. ბატონებო, თუ გინდათ გაერთიანება. დაგვიდექით გვერდით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ტყუილად, ცარიელი სიტყვისათვის ნუ მოგვიწოდებთ ამისკენ.

ძიცი საინტერესოა ზოგადედ როგორ წარმოადგენიათ ვინ ვის უნდა ემორჩილებოდეს, ამომრჩეველ — დეპუტატის ნებას, თუ პირიქით, დეპუტატი — ამომრჩეველის ნებას? ან თქვენ რალაც სხვა კანონებით საზღვრავთ პოლიტიკას, ან

სხვაგვარი თვალსაზრისი ასეთია — პრეზიდენტად, ამჟამად ზვიდ გამსახურდია გვინდა. 5 წლის მერე — ვნახოთ. ეცით, ბატონო დეპუტატებო, ამ თვალსაზრისის პატივს, კრიტიკული შეხედეთ მოვლენებს. ნუ მოგვიწვირთ თოფის ლულას მხოლოდ იმის გულისთვის, რომ თქვენგან განსხვავებული (თუნდაც მცდარი) თვალსაზრისი გვაქვს. ძალაობაში კი ნუ ინებებთ, ბატონებო, თქვენს მდგომარეობას და მალა იღვალბს არ ეკადრება ამგვარი საქციელი.

5. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს კანონს, თქვენი მოღვაწეობის-ძირითად სფეროს. ასე რომ არ იყოს, არ იღვებოდით ფიცგატეხილი გვარდიელებისა და მათი სარდლის გვერდით. იმ ქვეყნებში, სადაც კანონს პატივს სცემენ, არც ერთი დეპუტატი არ გახდის განსჯის საკითხად შეიარაღებული ჯარისკაცების მისიის მშვიდობიანობას ქალაქის ცენტრში. ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ როგორც ჩანს, არც ერთ თქვენგანი ღამეს არ ათევს ამ „კეთილშობილური მიზნებისათვის“ იარაღისხმული ადამიანების გვერდით. მე დლოიძის ქუჩაზე ვცხოვრობ და ყოველ ღამე ისტერიული ბათა-ბუთის მოწმე ვარ. ეს ხმები მოქალაქეთა მშვიდობიან ცხოვრებას ფორიაქებს. ამის წინააღმდეგ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში კანონი მოქმედებს. მაგრამ, თქვენ კანონებისათვის სად გცალიათ, გლობალურ პრობლემებს ხართ შექიდებული, ამიტომ ისეთ „წერილმანებს“, როგორიც გახლავთ მანქანების გატაცება, მკვლელობები, მილიციის თანამშრომლების განიარაღება, მალაზიების ძარცვა, სასწრაფო მანქანებზე თავდასხმა, ვერ ამჩნევთ ხოლმე.

6. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს ისტორიას. „ხალხის, მასების მოთხოვნით, ტაშისა და ვაშის შექმნილებით რომ ახადგურებდნენ სიმართლის მთქმელ ადამიანებს სისხლიანი რეპრესიების დროს“. ხალხის, ქართველი ერის მოთხოვნით არც ერთი ადამიანი არ გაუნადგურებიათ კომუნისტებს. ეს სიცრუეა და თქვენ იცით, რომ ამას ცალკეული პიროვნებები აკეთებდნენ და არა ხალხი. ხალხი ის ფარი იყო, რომლის უკან პიროვნულ ჰმუნისმგებლობა მალავდნენ ბოლშევიკები. ხალხი რეპრესიების დროს მხოლოდ მსხვერპლი იყო. უსამართლობაა მისთვის დამსჯელი ფუნქციის დაბრალვა. ამას თქვენც გრძნობთ და ამიტომ ამბობთ, ნაუცბათეველ სიტყვა „ხალხს“ — სიტყვებს — „მისებს“, „ტაშას“ და „ვაშას“. თუ ამ გამანეტრა-

ლებულ სიტყვებს ამოვიღებთ წინადადებიდან, „შეველი სიცრუე შეგვრჩება; თავად განსაჯეთ — ხალხის მოთხოვნით ახადგურებდნენ სიმართლის მთქმელ ადამიანებს სისხლიანი რეპრესიების დროს“. ძნელი დასაჯებელია, რომ რომელიმე თქვენგანს ეს სიბინძურე სიმართლე გონია.

7. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს სიყვარულს და მეგობრობას. ან ჩვენ გვატყუებთ, ან ისეც რალაც გეშლება, თორემ კი უნდა იცოდეთ, რა ტაბილი თოფმომარჯვებულ კაცთან მეგობრობა. ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს. 200 წელიწადი ასე თოფის ქვეშ ვიბეგობრეთ უფროს ძმასთან და რაოდენ საამური იყო ეს მეგობრობა, თქვენ ჩვენზე უკეთ უნდა მოგახსენებოდეთ. რამეთუ ჩვენზე მგრძობიარე ბატონები ბრძანდებით დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის მიმართ.

8. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, პატივს არ სცემთ საზოგადოებაში დაკანონებული ქცევის ელემენტარულ ნორმებს. წესიერ საზოგადოებაში არ არის მიღებული ჭაღისადმი და უფარავი აგრესიის გამოხატვა. როგორც არ უნდა იქცეოდეს ქალი, ის მაინც ქალია და მასთან ბრძოლა არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში უკვე მრავალი საუკუნეა ვაჟკაცობად აღარ ითვლება. მაგრამ მგონი, არც ეს გესწავლებათ ჩვენგან დასავლური ცივილიზაციის მცოდნეთ და დამფასებელთ.

9. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, პატივს არ სცემთ ერთ ალიარებულ ზოგად ქვეყნობას, რომლის თანახმად, საზოგადოებისათვის განსაკუთრებულ ხიფათს წარმოადგენს არა საკუთრივ პიროვნება, რა საშემადაც არ უნდა გეჩვენებოდეთ ის, არამედ იდეოლოგია. იდეოლოგიაა დამღუპველი და არა პიროვნება. დამეთანხმებით, რომ კომუნისტური იდეოლოგიით უფრო საშიშია ვიდრე ლენინი. ფაშისმი უფრო სახიფათოა, ვიდრე პიტლერი. ამიტომაც გერმანელი ჰუმანისტები მთავარ საფრთხეს საკუთრივ ფაშისმი ხედავდნენ და არა პიტლერში. დოსტოევსკი არ მოსწონებია ლენინს და სტალინს, მაგრამ სოციალისტური მსოფლმხედველობის გათვალისწინებით ვასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა რუსეთის მომავალი (წაიკითხეთ გეგნებათ „კინკები“).

ამიტომ ხელგულურად გვეჩვენება თქვენი შიშები მომავალი ფაშისმისა და ბოლშევიზმის წინაშე. იდეოლოგიურად ამისი საფუძველი საქართველოში არ ჩანს.


10. თქვენ, ბატონო დეპუტატებო, არ სცემთ პატივს თქვენს სიტყვას. როგორც ხელს გაძლევთ, ისე ათამაშებთ ცნებებს. როცა პიროვნება ან პიროვნებათა ჯგუფი თანამემამულეებს, ანუ თავის ქვეყნის მოსახლეობას, ანუ თავის ერს მიმართავს, ავადმდებლეთ შურსა და მტრობაზეო, ამას დემაგოგია ჰქვია. ვინაიდან ეს ნიშნავს, რომ თავად პიროვნება და პიროვნებათა ჯგუფი უკვე ამაღლა შურსა და მტრობაზე, ერს კი ეს თვისებები ვერ მოუშორებია, ვერ განუდევნია, ვერ დაუთრგუნია. სად არის ლოგოა? შეუძლია ვინმეს წარმოიდგინოს შურიანი ან მტრული ერი? არა. და პიროვნება, ან პიროვნებათა ჯგუფი?...

სხვათა შორის, არ არის შემთხვევითი, რომ თქვენ, ბატონო დეპუტატებო, მიმართავს აკეთებთ საქართველოს მოსახლეობისადმი და არა ქართველი ერისადმი. სიტყვის არჩევანი პიროვნების უფლებაა. ამაზე ვერავის გამოვედგებით. ჩვენ თქვენთვის მართლაც მოსასლეობა ვართ, ანუ რალაც კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილას შემთხვევით მოსახლე ადამიანები და არა ერი — ის მარადიული საფუძველი ქვეყნისა, არის მისი ზნეობისა, თავისთავადობისა, სულიერობისა, რომელსაც ყველა ცალკეულმა პიროვნებამ უნდა დაუმორჩილოს თავისი ნება. მოსახლეობის, ხალხის წინააღმდეგ წასვლა შეიძლება, — თქვენ ეს კარგად იცით, — ერის წინააღმდეგ წასვლა არც ერთ დროს არ შეიძლება, ამიტომაც აღარ გვეწოდებთ ერს და საქართველოს მოსახლეობად გვენათლავთ.

დამოლოს, კონკრეტულ რალაცებში თქვენ ალბათ, მართლმდებარე, ბატონო დეპუტატებო. მაგრამ, ჩვენის აზრით, არც დრო იყო ახლა საქართველოში თბილისი პარადების მოწყობისა და არც ამ პარადების ფორმა იყო მისაღები. ვთქვათ სიმართლე: თქვენმა სიტყვამ არ გაიქცა. ამიტომაც, რაც დრო გადიოდა თქვენს მიტინგებს ხალხი აკლდებოდა, ჩვენსას კი ემატებოდა. გაიხსენეთ 30 სექტემბერს მშვიდობიანი მანიფესტაცია (ამდენი ხალხი მერაბ კოსტავას დაკრძალვის შემდეგ არ უნახავს თბილისს).

პოლიტიკოსი კი, რომელიც თავისი აქციის ან პროტესტისათვის ვერც შესაფერის დროს არჩევს, ვერც შესაფერის ფონს და ვერც შესაფერის ფორმას, პოლიტიკურად განწირულია. ის პოპულარული არასოდეს იქნება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.

თამარ პატალია



ილია

თ. ზ. თუმანოვი, როგორც უკვე ვხედავთ მოგონებებში, არამც თუ საკუთარი აზრი არა აქვს, სხვისი აზრის გაგების უნარიც არა ჰქონია. ორში ერთი: ახ მართლა ამ უნარს მოკლებულია, ან ცოტა თუ ბევრი ლიტერატურული კულტურა სცოდნია და ამასთან მელურად მიტოვდა და გველურად კბენა. ჩვენ წინათაც ვთქვით, რომ იგი, რაღაც განსაკუთრებულ ბედზე გაჩენილი იგი ცალის ყბით, რომელიც ჩვენსავე აქვს მოქცეული, მითამ ჩვენთვის სტრისი და სწუხის, და მეორეს ყბით, რომელიც თავის ამქრებისათვის მიუშვრია, იცინის და ჰხარობს, მითამ, ნუ გეშინიათ, სულელებს ვაბრძობებო. არ გვერდის: ნათქვამია — ყოველი ბუნება გვაერთავს მიზნითა.

ჩვენ ამის-წინათ „პატარა საუბარი“ დაგვტყდა „ივერიაში“ და ცოტა არ იყოს ვუსაყვედურებ ჩვენს ქართველ „დედაკაცებს“, რომ ქალებად გადაქცნენ და „დედაკაცობა“ გონივრულად ამოიღეს. ჩვენ ამის გაშინის აზრით ვგაგებართვით, რომ „დედაკაცობა“ უფრო მაღალი, სასიქადლო და მშველელია ჩვენის დედაობისა, დედაობისა და მეუღლეობისა, ვიდრე „ქალობა“ და „დედაკაცობა“ ჩამოხდობა „ქალბამდე“, იმ დიდ სამცხის დიდობა, რომელიც გამოიხატება სიტყვით: „დედაკაცობა“. რაკი საგანი დანდა, დანდა სახელიცა, ვთქვით ჩვენ. ამისთანა ამბავი ჩვენ ჩვენის დღევანდელ უბედურების მიზეზად დავსახებთ და ამ სახით ჩვენს ერთი ძლიერი ნაკლი დავსახებთ.

რა პატარა ჰქონდა ქართველ მწიგნობარს საგანი და მცენება „დედაკაცობისა“ და, მასთანავე, სახელიცა, ამის დასამოწმებლად მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი ჩვენის ქართლის სიტყვიერებისა, საცა სიტყვა „დედა“ ხშირად უფრო ვითარდება ამამდლოდ საგნისა, სამცხისა. ესეთი პატარა, რა თქმა უნდა, უსახებუთ, უმზებუთ არ იქნებოდა. მართალიც არის. მინამ დედაკაცობა ჩვენში მართლა დედაკაცობა, მაშინაც კი დიდი ზურგი ჰქონდათ, მტრისაც და მოყვარულსაც, როგორც

იყო, უძღვებოდნენ სახელგანთქვნილად. ჩვენს ოჯახში მაგარად იდგა და მაგარად იდგა ჩვენი ქვეყანაცა. შინ დედაკაცი ჰპატრონობდა ოჯახს, ქვეყანას და ვართ მამაკაცი; დედაკაცი ბურჯი იყო ოჯახისა, ქვეყნისა და მამაკაცი ზღუდე, გალავანი. სწორედ ამან შეგვიჩინა, სწორედ ამან შეგვარჩინა ჩვენი მიწა-წყალი.

დღეს ეს ბურჯი, ეს ციხე-სიმაგრე ჩვენის ოჯახისა, ჩვენის ქვეყნისა, მისულდა, დანდა, თითქმის გაუქმდა. თითო-ორთა იშვიათ მაგალითი გარდა, დღეს აღარც ოჯახისათვის გვეყვს „დედაკაცი“, აღარც ქვეყნისათვის. ეს იმისთანა ნაკლად ჩავსთვლით, რომელსაც დიდი წილი უდევს ჩვენს დღევანდელ უბედურებაში. შევძელით ყოველ ამისი დასურათება და დასაბუთება თუ არა, ეს სულ სხვა ამბავია. ამ მხრით ჩვენზე ზედმოსევას, ამ მხრით ჩვენის „პატარა საუბრის“ განკითხვას, წმინდა ლიტერატურულ მართებულობის შინა და ფერი დაედებოდა, ჩვენ მიერ პატარა მისაღები და პატარა ანგარიშ-გასაწყველი.

თ. გ. თუმანოვი ამ მხრით არ უქვიანა ჩვენს „პატარა საუბარს“. იმან სულ სხვა მხრით მართო თავისი მელური კულის ქვეა და გველური ხისინი. იგი სხვა გზით მოგვეპარა და ცხვირით თავისსავე საკუთარ ბუნებაში წაყუთ. იგი ამბობს: „ჩვენი გვეგონია, რომ „ივერიის“ მკითხველს უფრო სერიოზული, უფრო ცხოველმყოფელი საგნები სწყურიათ და ენატრებათ, ვიდრე სუბიექტურულსა და სხვადასხვას“. ეს სწორედ კულისხური და კულისხი ფრაზა, ეს გველური ხისინი ასე ითარგმნება: რა დროს მაგისთანა აბაღუბდაზე ლაპარაკი ქართველისათვის? რა სადღისო საგანიაო და რის მაქნისიაო? „დედაკაცობის“ სულით და გულით დაუძღვრება ქართველისათვის რა დიდი ჰარია, რომ

მაგისათვის თავს იტყებოთ? ქართველს რაში ეჭირებათ კი დედაკაცობა? ქართველს მაგისთანა რაღაცეები რად უნდა, აწყენსო და სხვანი და სხვანი. დანარჩენი თ. გ. თუმანოვი თავისისა და თავისის ამქრის დავითბიდან ამოწეროს, როცა პირდაპირ თქვამდე გაგულადდება. ჩვენთვის ესეც საკმაოა, რომ გავუვით კრატუნს საცვეთლის კბოლისა, თუ ნამეტნავად გაიხსენებთ ერთს რუსულ ანდაზას: «Что русскому здорову, то немцу смерть».

განა არა ვხედავთ, კული რათ ეწვის ამ შემთხვევაში თ. გ. თუმანოვი? განა ეჭვია, რომ თ. გ. თუმანოვი არ მოეწონებოდა და არც არასოდეს მოეწონება, რომ ქართველმა თავისს ავკარგინაო თავისი გავსწოროს, თავისი ნაკლი დაინახოს, თავისი ტყვეობა იცოდეს და რაიმე გზა და წამალი ჰხსნის იმის. ქართველს განა ის არ ურჩევია, თავისს ნაკლს, თავისს სატყვეობას თან გადაწყვიტოს... დანახვა ნაკლისა ხომ ნახვრად გასწორება, ციხისა სატყვეობისა ხომ პირველი და თავი-და-თავი საჭიროებაა განკურნებისათვის და თ. გ. თუმანოვი რაში ებიტანება? ქართველმა რომ ნაკლი თავი-და-თავი მოშოროს, სატყვეობისაგან გამოკეთდეს, ქართველმა რომ თავს უშველოს, თ. გ. თუმანოვი და მისს ამქრის რაღა ეშველება?

სულით გაძლიერება ჩვენის „დედაკაცობის“ გაძლიერება ოჯახისა. ერისა, ქვეყნისა, და აბა სერობისა მგლობლება თ. გ. თუმანოვი რათ ინდომებს ამას. რათ ინდომებს ამას ჩარჩულ ბურჯურების ნაძირაობა... აქ არც ინდომა და ქოქოლა მოგვაყარა თ. გ. თუმანოვის პირით. მძობა და ერთობა, მინც არ იშლის და გვიძახის ეს უსტაბაში თავისს ამქრისა. რომელი იუდა ისკარიოტული იქნება, რომ მისს უქვიანოს — თავს რათ ახელ, რად გინდა შენის ნაკლის დანახვა. შენის ნაკლის თავიდან მოშორება? რათ გი-

ჩვენი გაბრძობები მოუწოდებინებია. პირველ შემთხვევაში თავლთახედვის ისარი ძალიან მოკლე ჰქონია და თვალს ვერ გადაუწვდენია საგნისათვის მთელ მისს სიგრძე-სივანეზე, რადგან თ. გ. თუმანოვის თავისი საკუთარი ქეჟა არ უქრის და სხვისასაც არ იჭერებს, რაც გინდ მართალი იყოს, და შიშით ენა მუცელში ჩაუფარდება ხოლმე მართლ სხვა ქვეყნის მეცნიერის ხსენებაზე. მოვიყვანო მარქსის ნათქვამს: „როგორც დედაკაცია, ისეთი ოჯახიცაო, როგორც ოჯახია, ისეთი სახელმწიფოცაო“. ჩვენ ამას არ დავვიჭერებოდა, ეხლა კი იქნება იგრანოსო რა წამორომა, როცა გვიკეთინა, „დედაკაცობა“ გამო საუბარი სერიოზული არ არისო. აბა თ. გ. თუმანოვი რათ მოინდომებს, რომ ქართველმა ითავსება, რომ მისი მინშველობა დედაკაცობისა ყველგან და, მასთანავე, ჩვენთვისაც. რათ მოინდომებს, რომ ჩვენი დედები, მეუღლენი ამ მნიშვნელობამდე ამაღლებენ და არა პეველასავით დაფრინავდნენ. მაშინ სადღა სძოვოს მისმა ამქარმა?

გვეყენს განა ქართველებს ამაგის გათვალისწინება, ამებზე ზრუნვა და ფიქრი, რა სერიოზული საგანიაო?.. მართალიც არის, დღეს ქართველმა დედაკაცობამ რომ მალაღი დაინშნულა დედაკაცისა თვალწინ დაიყენოს, ოჯახს უპატრონოს და გუშავად დაუდგეს, ესე ადვილად ვეღარ გავა სამოვარზე იგი ჩრჩილი, რომელიც ჩვენს ოჯახსა სკამს, იგი თავი, რომელიც ჩვენის ოჯახში ბიძა და ძმობა თავისს სოროში ჩვენს საცხოვრებელს. ამით ცოტა არ იყოს ხანა დაუპატარავდებოთ, კული დადენებოთ, და აბა სერობისა მგლობლება თ. გ. თუმანოვი რათ ინდომებს ამას. რათ ინდომებს ამას ჩარჩულ ბურჯურების ნაძირაობა... აქ არც ინდომა და ქოქოლა მოგვაყარა თ. გ. თუმანოვის პირით. მძობა და ერთობა, მინც არ იშლის და გვიძახის ეს უსტაბაში თავისს ამქრისა. რომელი იუდა ისკარიოტული იქნება, რომ მისს უქვიანოს — თავს რათ ახელ, რად გინდა შენის ნაკლის დანახვა. შენის ნაკლის თავიდან მოშორება? რათ გი-

ნდა კარგი და მხნე შედეგად გვეანდესო? მაგალითად ქართველული სადღეობელი ბევრი სხვა გაქვს და დაბე, შენი გაზეთი „ივერია“ რაებზე გაცდენსო.

დაგვიწინა ჩვენი „პატარა საუბარი“, ამაზე უფრო სერიოზული საგანი სწყურიათ ქართველებსო. როგორ? როცა ვხედავთ, რომ ჩვენს სახლს, ჩვენს ოჯახს, ჩვენს ნაოფლს, ჩვენს ნაღვას, ერთობ ჩვენს საცხოვრებელს შინ თუ გარეთ დედაკაცობის მხნეობა, გარჯა, გაფრთხილება, მოვლა, ქეჟა-გონება, მიმულის-შვილობა მოკლდა, მაშინ გვეუბნები — ეგ რა სერიოზული საგანიაო!... ლამის ოჯახები თავზე წამოგვეტყეს, მიწა-წყალი ზელობა გამოგვეცალოს, ენა დაგვიმუნჯდეს, დაგვეკაროს, სახელი ქართველისა დედაკაცის ზურგიდან იიგავოს და მაშინ გვეუბნები, — რა სერიოზული საგანია დედაკაცობამ თავისი ნაკლი დაინახოს და გასწორების გზა დაადგოს!.. ჩვენი საქმე ლამის სულს ამოხადებდნენ მიედეს, და უდღედაცოდ უღონოდ ქმინილი მამაკაცობა იწვევს თავისს დედებს, დედა, მეუღლეს, თქვენც კაცნი ზარბ, როგორც ჩვენ, მოდით, მოგვეშველეთ, ერთმანეთით გავლონიერდეთ, გავლონიერდეთ, გავხსნევედეთ, რადგან უთქვენიოდ ყოველგვარს შეუძლებელია, და თ. გ. თუმანოვი — კი გვიჩვენებს, ამას თავი დაანებეთ, ამაზე უფრო სერიოზული საგნები გაქვთო!..

„О, дружба, о братство, это ты!...“

ჩა გავიკვირდება, რომ თ. გ. თუმანოვის დათარში და მისის ამქრის ტიპიკონში ამაზე უფრო ცხოველმყოფელი, ამაზე სერიოზული საგანი ბევრი სხვა ეჭვებს, ნამეტნავად ქართველების სახლად და სახელოქროდ. ეგ თქვენი დაფიქრება და ტიპიკონი თქვენთვის შეინახეთ. ჩვენ ჩვენი სახარება გვაქვს და თქვენის ამქრის მეტზე Novus-ი იუდა ისკარიოტულს მაცხოვრად ვერ გავგზახდის, ბევრიც რომ კული იქნით, ერთი-ერთმანეთზე გადაბმული.

1898 წ.

სტერეოტიპი და იმიჯი

ეს სიტყვები დღეს უკვე სპეციალური დარგობრივი ლექსიკონების კუთვნილება აღარ არის — ფართოდ დამკვიდრდა ჩვენს პრესაში, ლიტერატურაში, ყოველდღიურ საუბარში.

სიტყვა „სტერეოტიპი“ მომქცევიაში შემოიტანა ამერიკელი პუბლიცისტი უოლტერ ლიპმანი თავის წიგნში „საზოგადოებრივი აზრი“ (1922 წ.). წიგნში სხვა საკითხებთან ერთად ავტორმა გააანალიზა სტერეოტიპის ცნება, განმარტა თუ რა არის იგი. ლიპმანის მხედვით ეს არის გამარტივებული, სტანდარტიზებული წარმოდგენა საზოგადოებრივ მოვლენათა შესახებ; შემეცნებაში ასახული სინამდვილის მარტივია, ერთმნიშვნელოვანი მოდელი. ლიპმანი ეს სიტყვა გამოაყენა ეთნიკური, კლასობრივი, პოლიტიკური და პროფესიული ჯგუფების შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული წარმოდგენების აღსანიშნავად.

სიტყვა „სტერეოტიპი“ ორი ნაწილისაგან შედგება: 1. ბერძნული „სტერეოს“ — მყარი და 2. „ტიპოს“ — ანაბეჭდი.

ეს სიტყვა პოლიგრაფიის სფეროს ტერმინია, მაგრამ, ჩვენ აქ, რა თქმა უნდა, მას არ ვხეზებთ.

სტერეოტიპი შემდგომ ფართოდ გავრცელდა. სოციოლოგია და სოციალური ფსიქოლოგია კი საგანგებოდ დაინტერესდნენ სტერეოტიპის და სტერეოტიპიზაციის პროცესის კვლევით. შექმნილია ფართო და საინტერესო ლიტერატურა.

სოციალური სტერეოტიპი სპეციალურ დარგობრივ ლექსიკონებში დღეს ასეა განმარტებული: მდგრადი სტერეოტიპული წარმოდგენა რა იმე სოციალური ობიექტზე (ადამიანი, ჯგუფი, მოვლენა); ნიშან-თვისებათა ყველაზე ხშირი კომბინაცია, რომელსაც ერთი ჯგუფი მიაწერს მეორეს; მყარი, ხანგრძლივი, ძნელად შესაცვლელი, ხშირად პოზიტურად ან ნეგატიურად შეფასებული, ემოციურად შეფერილი წარმოდგენები პიროვნებაზე ან ჯგუფზე; მდგრადი, გამარტივებული წარმოდგენა სოციალურ მოვლენასა და ობიექტზე და ა. შ.

ყოველდღიურ ცხოვრებაში და აზროვნებაში ადამიანები, ჩვეულებრივ, კითხვულად არ უყურებენ საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს, ტრადიციებს, ფასეულობრივ ორიენ-

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი

ნტაციებს. ამას გარდა, მათ არც სრული ინფორმაცია აქვთ იმ მოვლენისა და ობიექტის შესახებ, რომლებსაც ისინი აფასებენ ან რომლებზედაც საკუთარ აზრს გამოთქვამენ. ამიტომ ხშირად ისინი იქცევიან შაბლონურად, უკვე ჩამოყალიბებული შეხედულებების შესაბამისად, ანუ სტერეოტიპულად. სტერეოტიპი ადამიანებს ორიენტირებს ამოღეს ისეთ მდგომარეობებში, რომელიც ანალიტიკური აზრს და ინდივიდუალურ, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებას მოითხოვს, ათავისუფლებს ფიზიკური და სოციალური გარემოს მოვლენების შემოქმედებითა და დადებითად აუცილებლობისაგან. სტერეოტიპის გარეშე მათთვის დეტალურად უნდა აგვეხსნათ თითოეული ფაქტი, მოვლენა.

სტერეოტიპი ყალიბდება ორი გზით: სოციალურ გარემოსთან პიროვნების უშუალო ურთიერთობით და კომუნიკაციური შემოქმედებით — პროპაგანდით, სწავლებით და სხვ., ხოლო წარმოიქმნება ადამიანის შემეცნებაზე ორი გარკვეული ტენდენციის შემოქმედებით: კონკრეტული, ანუ აბსტრაქტულ ცნებათა რაიმე კონკრეტულ სახესთან ასოციაციით და გამარტივებით, რომლის არსია ერთი ან რამდენიმე უბრალო ნიშნის გამოყოფა რაიმე რთული მოვლენის ძირითადი ნიშნის სახით.

სტერეოტიპები ერთმანეთისგან განირჩევიან ხარისხობრივად: ისინი შეიძლება იყოს შემოქმედებით მიახლოებული ან მკდარი. ადამიანები სტერეოტიპებს აღიქვამენ როგორც ცოდნას, ან დროს კი ეს ის მხოლოდ არასრული, კომპლური აღწერა. მეცნიერული კრიტიკულობითა და მკაცრი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, იგი აზროვნების საკმაოდ არასრულფასოვანი მეთოდია. სტერეოტიპში ისახება ადამიანის პირვანდელი დამოკიდებულება, რომელიც ცხოვრებისეული პირობებით და წინა გამოცდილებით ჩამოყალიბდა. ცალმხრივად, ხშირად წინასწარაკვირვებულად ასახავს ობიექტს. ამასთანავე, მარტივად და სქემატურად, რადგან იგი ყოველდღი-

ურ, ჩვეულებრივი შემეცნების დონეზე იწვევს ობიექტს.

სტერეოტიპი წარმოიშობა სტერეოტიპიზაციის პროცესში. — სოციალური მოვლენის თუ ობიექტის მსგავსი მახასიათებლების განზოგადების და ერთიან კატეგორიად დაყვანაში, რათა ამით გაადვილდეს ამ მოვლენის თუ ობიექტის აღქმა, გაგება, შეფასება. სტერეოტიპი ნეგატიურ როლს თამაშობს ისეთ სიტუაციებში, სადაც საჭიროა სრული, ობიექტური ინფორმაცია და ანალიტიკური შეფასება. ხშირად მოვლენის, ობიექტის არის შეცნობის ხელისშემშლელი ფაქტორია; მოვლენის მხოლოდ ზოგადი მხარეებს აღიქვამებს, ზოგჯერ — არასრულს ან არაარსებობს. განსაკუთრებით ეფექტურია მოცემული მოვლენის თუ ობიექტის შესახებ ინფორმაციის დეფიციტის პირობებში.

სტერეოტიპი დიდ როლს თამაშობს ადამიანის მიერ მოვლენების შეფასებაში. ისინი მოქმედებენ როგორც სტემული და გარკვეულ განმარტებებს იწვევენ (სიმართლა-არბრათა, მიღება-არმიღება) როგორც კი ამ სტერეოტიპის ასოციაციის გამოშვებვ მოვლენებს და საგნებს ვაწყვედებ.

ძალიან გავრცელებულია ეთნიკური, კლასობრივი, პროფესიული, პოლიტიკური და სხვ. სტერეოტიპები. გარკვეული სტერეოტიპია მია სქემა, რუსი ივანი, გასული საუკუნის ბურჟუა (ქეღელი, დიდი მუცლით და ქვეაბურა მქედით) და სხვ.

სტერეოტიპის მონათესავე ტერმინია იმიჯი. ინგლისური სიტყვა image ეტიმოლოგიურად ლათინური imitare-დან მოდის („მიბადვას“ ნიშნავს). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი ბაზრისა და მარტევიცის მკვლევარმა ფსიქოლოგებმა შემოიტანეს. შემდეგ ესეც ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა არა მხოლოდ სოციალურ ლექსიკონებში, არამედ პრესაშიც და საერთო მეტყველებაშიც. ქართულ ლექსიკონში არცთუ დიდი ხნის წინ შემოვიდა და უკვე გასცდა სპეციალური ლიტერატურის ფარგლებს.

იმიჯი არის კონკრეტული საგნის, მოვლენის სახე-წარმოდგენა, მიზ-

ანიმირათულად ჩამოყალიბებული ხეტი. იმიჯი დამატებით წარმოდგენებს ანიმებს ობიექტს, რათა სხვა მოვლენისგან რადიკალურად განსხვავებული შთაბეჭდილება შექმნას მისში, როდესაც სტერეოტიპი ობიექტის მახასიათებელი თვისებების ნივთიერებას ახდენს. იმიჯი ის მნიშვნელობაა, რომელიც მოცემულ საგანს აქვს მიკუთვნებული. იმიჯი ნაწევარფარიატა, რომელიც მიმართულა იმიჯსა და შემდეგ თითოეულ ადამიანს შეუძლია იყოს მისი შექმნის თანამონაწილი. სტერეოტიპისგან განსხვავებით იმიჯი მოძრაობაშია და ყოველთვის პლასტიკურია. იცვლება კულტურული დიფერენციის კონტექსტის ან იზოლოციის მიხედვით. ის ფასეულობები, რომელსაც იმიჯი უმატებს ობიექტს, შეიძლება რეალურად არც ჰქონდეს ამ ობიექტს, მაგრამ გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი აღქმისთვის. იმიჯი არსებულ ობიექტს, კი არ ეფუძნება, არამედ ემოციებს, პრესტიჟს, აზრებს.

პრეზიდენტობის კანდიდატა წინასაარჩევნო სატელევიზიო დუელში ის კი არ არის მთავარი თუ რას პირდაპირ ამომჩვენებებს, არამედ ის თუ პრეზიდენტობის როგორ იმიჯს ავლენენ (მაგ. ამერიკაში ეს ემთხვევა „მამის“ იმიჯს. ის არ უნდა იყოს „კეთილი“, „ბრძენი“, „ლიბერალი“, საკმაოდ რელიგიური და ოჯახის მოყვარული, თავმდაბალი, ხელმოშობიანი, ბუნების მოყვარული და სხვ.).

იმიჯი გარკვეულად ხელს უშლის ობიექტის რაციონალურ შემეცნებას, გარკვეულ მნიშვნელობას აძლევს წარმოსახვას, მაგრამ აღიქმება როგორც საკუთარი ხედვის შემდეგ და არა როგორც თავსმომხვეული. მომხმარებელს იმიჯით სთავაზობენ არა საჭიროებს, არამედ ილუზიას, ილუზიურ დაპირებას. როგორც ერთმა უკრანისტმა ოსმურა, იმიჯი არის რეპუტაციით ვაჭრობა. საკუთარი იმიჯის შექმნა ერთ-ერთ მნიშვნელოვანი საზრუნავია თანამეორველი ადავლეთელი საქმიანი ადამიანისა.

იმიჯს ფართოდ იყენებენ რეკლამაში, პროპაგანდაში. მაგ. ამერიკელებმა მიიჭირეს თავისუფალი სამყაროს დამცველის იმიჯი „მასობრივი კულტურა“ ხშირად რეალურ სახეებს, კი არ იყენებ, არამედ სტერეოტიპებსა და იმიჯის სისტემას. ორივე ეს მასობრივი ცნობიერების მანიპულირების ნაცდი ხერხია. მათ გავრცელებას დიდად უწყობს ხელს ინფორმაციის გავრცელების მასობრივი საშუალებები.

„როლო-როისი“ მხოლოდ სატრანსპორტ საშუალება არ არის. ამ ავტომობილის იმიჯით მაღალ პრესტიჟსაც „ყიდულობენ“. „მალობროს“ რეკლამა დაკავშირებულია კომპლური ცხოვრების რომანტიკასთან. მისი მყიდველი „მალობროს“ იმიჯით „ახდენს“ თავისი პიროვნების იდენტიფიკაციას ამგვარ ცხოვრებასთან.

აი ერთ-ერთი ამერიკული სკოლის მოსწავლეთა სტერეოტიპები და იმიჯები რუსებზე: კომუნისტები, არაკვი, ჯიუტობა, ატომური ომი, სიცივე, ციმბირი, გულაგი, ნერვიულობა, დაპროგრამირებულობა, რკინის ფარდა, ავანგუდი, შეფიქრება, ნაგალი და ურო, აკრძალვები, ჰადრაკი, სპორტი, გაქცეული მოციქვანები და სხვები, ზორბალი, პროპაგანდა, კრემლი, როგბე, ლენინი, კუმბი, ემბარგო, მარქსიზმი, ტერორიზმი, უმეტრება, სიღარიბე, ძველ-მოდურობა, შრომები და ა. შ.

ზოგადი ამერიკული სტერეოტიპები და იმიჯები სსრ კავშირზე ასეთია: „ამერიკა — თავისუფლება, სსრკ — მონობა“, „ამერიკა — სიმდიდრე, სსრკ — სიღარიბე“, „ამერიკა — ქეშმარიტება, სსრკ — სიცივე“, „ამერიკა — განვითარებული მეწარმეობა, სსრკ — შემშუთვეული სახელმწიფო სოციალიზმი“ და ა. შ.

დღეს იქმნება საქართველოს ახალი იმიჯი. უნდა განმტკიცდეს აქტიურად გავრცელებული მხოლოდ პოზიტური იმიჯი ამოქმედების შემდეგ. იმიჯი დავარდებული თოვლის გუნდასავით იზრდება და დიდხანს განაგრძობს დამოუკიდებელ არსებობას. როგორც ტრენის გამოჩენების“ სპეციალისტები ამბობენ, ადამიანები ყოველთვის იყენებენ და იქნებიან მოტყუებისა და თვითმოტყუების უფიცი მსხვერპლები პოლიტიკაში.

ნოვარ კარმელიძე

რედაქტორის მოადგილე თამარ აბრალიძე

სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, გურბან გაჯაჯარიანი, გურამ აპტერიაშვილი, თამარ ქორიძე, ნოვარ წულენსკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა № 14. ტელეფონი 98-21-57.

იხანავა რუსთაური წესით სოფარალის ქუჩა № 29

0564260 66421